

„გამტკიცება”

საქართველოს მთავრობის ეროვნული

მუნიციპალიტეტი

13 ოქტომბერი 2022 წ.



დ გ ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიონ შეჯიბრება ჭაბუკებში
(დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო)

2022 წელი
5-6 თებერვალი
თბილისი - ზუგდიდი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოისტთა შერჩევა ჭაბუკთა ეროვნული ჩემპიონატისათვის;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს პულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2005-2006 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები. (2007 წელს დაბადებულები არ დაიშვებიან).

IV. შეჯიბრების კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 5-6 თებერვალს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.
- აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
დასავლეთ საქართველო – ზუგდიდი, ძიუდოს დარბაზი, სოხუმის ქN1.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონების დროს – თითოეული სპორტსმენი აწონებისას თავად იღებს ნომერს, რომლის მიხედვით ხვდება კენჭისყრის ბადეში.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 4 თებერვალი, წასვლის დღე – 7 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი - 10:00.

რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით

- ჩემპიონატში მონაწილე ყველა პირი (ძიუდოისტები, მწვრთნელები) გალდებულია წარმოადგინოს ბოლო 24 საათში გაეკთებული სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ძიუდოისტები ტესტის პასუხებს წარმოადგენენ აწონგაზე.
- ჩემპიონატის მიმდინარეობისას დარბაზში ყველა პირი გალდებულია ატაროს პირბადე. ძიუდოისტებს პირბადის მოხსნა შეუძლიათ ტატამზე შესვლის წინ.
- ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან მაყურებლები.

რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (<http://gjf.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2022 წლის 2 თებერვლამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 3 თებერვალს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდება მონაწილეობა სია. მწვრთნელები გალდებულნი არიან გადაამოწმონ საბუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- სპორტსმენის მონაწილეობა დასავლეთ, ან აღმოსავლეთ საქართველოში განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად ატარებს საწვრთნელ პროცესს მისი პირადი მწვრთნელი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების სანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
-50კგ; -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; -90კგ; +90კგ;
- 5 თებერვალი: -50კგ; -55კგ; -60კგ; -66კგ;
- 6 თებერვალი: -73კგ; -81კგ; -90კგ; +90კგ;

- აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლინდება 24 მიუდოისტი, ხოლო დასავლეთ საქართველოში - 8.

VI. აწონგა

აღმოსავლეთ საქართველო - თბილისი, მიუდოს აკადემია. ბეჭიაშვილის 38.
დასავლეთ საქართველო - ზუგდიდი, მიუდოს დარბაზი, სოხუმის ქN1.

4 თებერვალი

-50 კგ; -55 კგ; -60 კგ; -66 კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

5 თებერვალი

-73 კგ; -81 კგ; -90 კგ; +90 კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთვევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

საკონტაქტო პირი აღმოსავლეთ საქართველო – 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი დასავლეთ საქართველო – 599 96 67 15 ბადრი გახოგიძე

P.S

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისკიპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი